



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

28 ივლისი 2026



N189780

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „აკვალა საქართველო“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს „აკვალა საქართველო“-ს მიერ (ს/ნ - 404630645, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მედეა (მზია) ჯუღელის ქ., N 10) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2026 წლის 6 იანვარს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს IV კატეგორიის საწარმოს და I კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „აუდიტორის დამატების ჩანართში სუბიექტმა უნდა მიუთითოს ანგარიშგებების, ხოლო ჯგუფის შემთხვევაში, ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული ანგარიშგებების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორ(ებ)ის ან ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორ(ებ)ის აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის სარეგისტრაციო ნომერი, რის შედეგად ავტომატურად აისახება აუდიტორის სახელი, გვარი და პირადი ნომერი აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე. სდპ-ის, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორის დამატების ჩანართში, სუბიექტმა უნდა მიუთითოს სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი გარიგების პარტნიორ(ებ)ის/ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორ(ებ)ის აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოების და მესამე კატეგორიის ჯგუფის ფინანსური

ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორის დამატების ჩანართში, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სუბიექტს შეუძლია მიუთითოს როგორც არასავალდებულო, ისე სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი გარიგების პარტნიორ(ებ)ის/ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორ(ებ)ის აუდიტორების სახელმწიფო რეესტრის სარეგისტრაციო ნომერი". სუბიექტს კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტორის დამატების ჩანართი შევსებული არ აქვს.

სუბიექტმა სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი, რაც იწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნის დარღვევისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა პირს არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან“.

კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას“.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით;
2. სუბიექტს დაევალოს კონსოლიდირებული ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად სრულად, ერთ დოკუმენტში, ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. სუბიექტს დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 დღის ვადაში, შემდეგ სახაზინო კოდზე - 302003549;
4. გაორმაგებული ფულადი ჯარიმის ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მისი იძულებითი აღსრულება განხორციელდეს სამსახურის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;
5. ეს ბრძანება, სუბიექტისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64). ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

ზაზა რუხია


 Director

სამსახურის უფროსის მ. შ.

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

